დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატის საფეხური

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18-19 დეკემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 30

იანვარი

თბილისი

2023 წელი

შინაარსი

I.4II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ბანძელაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო თოთიბაძე, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, სულხან-საბაა ორბელიანის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჰუმანიტარულ მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული. აკრედიტაციის საბჭოს N622 გადაწყვეტილება, 08.11.2012
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელწმიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილია „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადი. პროგრამა მოიცავს 240 ECTS, წელიწადში - 60 კრედიტს, სემესტრში - 30 კრედიტს. შესაბამისად, პროგრამის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს პირს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 25 პირის მიერ, მათ შორისაა, 2 აფილირებული პროფესორი, 10 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 13 მოწვეული პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად სტუდენტი იღებს ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხის ინგლისურ ფილოლოგიაში.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 6 დეკემბრით დათარიღებული ბრძანების N1554673 თანახმად, ექპერტთა ჯგუფი 2022 წლის 18-19 დეკემბერს ეწვია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში.

დღის წესრიგით განსაზღვრულ ფარგლებში, გასაუბრება წარიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტამდე ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტიას. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რომელიც დროულად და მოწესრიგებულად იქნა უზრუნველყოფილი. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1.1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 1.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 1.3 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 1.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 1.5 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტი 2.1- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2.2- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2.3.- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2.4 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3.1- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3.2 - არ ივსება

სტანდარტი 4.1- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4.2 - არ ივსება

სტანდარტი 4.3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4.5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5.3- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

სტანდარტი 1.1

1. რეკომენდებულია, მიზნით განსაზღვრული იყოს ინგლისური ენის კომპეტენციის B2 დონეზე განვითარება ან შეიცვალოს მიზნის ფორმულირება და შემოიფარგლოს მხოლოდ ზოგადი აღწერილობით, მოცემული იყოს ენის დაუფლების დონის შესაბამისი კომპეტენციების განვითარება. ინგლისური ენის შესაბამისი დონის მიღწევა კი გაიწეროს სწავლის შედეგებში.

სტანდარტი 1.2

2. რეკომენდებულია პროგრამის პირველი შედეგით განსაზღვრული ინგლისური ენის კომპეტენციის დონე განისაზღვროს B2 დონით.

სტანდარტი 1.3

3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმის კრიტიკული გადახედვა. განისაზღვროს განმტკიცების დონეზე გამავალი სასწავლო კურსები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ შედეგის შეფასება. ასევე, საჭიროა გააზრებული იყოს ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკა.
4. რეკომენდებულია ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, რათა მათთვის ნათელი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმის ფუნქციონირების ლოგიკა.

სტანდარტი 1.5

5. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და სათანადო სილაბუსებში ავტონომიურობის განმავითარებელი სწავლის შედეგის გამოკვეთა.

6. რეკომენდებულია აკადემიური წერის სასწავლო კურსის გაშლა ორ ნაწილად, აკადემიური წერა 1, რომელიც უფრო წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე იქნება ორიენტირებული, ხოლო აკადემიური წერა 2 - ფოკუსირებული იქნება სამეცნიერო ნაშრომის კომპონენტების დახვეწაზე.
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სემესტრული გადანაწილების გადახედვა და დალაგება კურსის კომპლექსურობის გათვალისწინებით.
8. რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის მეტად გააზრება და შეთანხმება პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან.
9. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომების ხარისხის დახვეწა, აკადემიური სტილის შესახებ სტუდენტების მეტად ინფორმირება და სტილის დაცვა სამეცნიერო ნაშრომებში.

სტანდარტი 2.2.

10. რეკომენდირებულია პრაქტიკის კომპონენტის ობიექტების გამრავალფერონება და თითოეულ კონტრაქტში პრაქტიკის ხანგრძლივობის, მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და კონკრეტული მიზნების გაწერა.

სტანდარტი 2.3

11. რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა და რუბრიკების გამრავალფეროვნება/დაზუსტება და მათი სხვადასხვა ასპექტსა და კურსის სპეციფიკაზე მორგება.

სტანდარტი 2.4

12. დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ, როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალს საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის შესახებ ზუსტი ინფორმაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტანდარტი 1.5

1. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე გასვლის კრიტერიუმები. საჭიროა მოყვანილი იყოს მხოლოდ შეფასების კომპონენტები და არა კონკრეტული დავალების სახეობები.

სტანდარტი 2.4

2. მიზანშეწონილია დაწესებულებამ დეტალურად მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია კურსის სილაბუსის, შეფასების კოპონენტებისა და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ.

სტანდარტი 3.1

3. გაუმჯობესდეს კვლევითი პროექტების ხელშეწყობა და განხორციელება დაწესებულებაში, რაც მოიცავს მეტად სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო კვლევაში.
4. სასურველია გაიზარდოს უცხოენოვანი პედაგოგების რაოდენობა დაწესებულებაში, რათა მეტი სალექციო დროით ჰქონდეთ სტუდენტებს მათთან შეხვედრის შესაძლებლობა.
5. საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და პროგრამებში მეტად ჩართულობა, როგორც სტუდენტების ისე აკადემიური პერსონალის.

სტანდარტი 4.1

6. სასურველია პროგრამა გაძლიერდეს მეტი დარგობრივი პერსონალით.

სტანდარტი 4.3

7. მიზანშეწონილია მეტმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა გამოიყენოს საერთაშორისო გაცვლითი პროექტები და აღნიშნულის საშუალებით უფრო მეტი რაოდენობა წავიდეს სხადასხვა საერთაშორისო პროექტებში.

სტანდარტი 4.4.

8. უმჯობესი იქნება თუ პროექტორების რაოდენობა გაიზრდება, რათა აღარ მოხდეს ერთი ოთახიდან მეორე ოთახში აქტიურად გადატანა. უმჯობესია იყოს საჭირო რაოდენობა, რათა ზუსტად იყოს აღნიშნული რაოდენობა სტუდენტის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული.

სტანდარტი 4.5

9. სასურველია, პროგრამისათვის გაიწეროს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

სტანდარტი 5.2

10. სასურველია, პროგრამის გარე შეფასების მიზნით იყოს უცხოელი ექსპერტის შეფასების დასკვნაც.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამასთან მიმართებით გასცა, საერთო ჯამში, 13 რეკომენდაცია. აქედან 7 სრულად გაზიარებულია დაწესებულების მიერ. 6 რეკომენდაცია არ არის გაზიარებულია, აქედან, ექსპერტების მოსაზრებით, 5 რეკომენდაცია უცვლელი რჩება, ხოლო 1 (რეკომენდაცია 13) მიზანშეწონილად მიაჩნიათ გადავიდეს რჩევაში.

რეკომენდაცია **1** გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია **2** გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია **3** გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია **4** არ არის გაზიარებული დაწესებულების მიერ, თუმცა, რჩება უცვლელად, რადგან გასაუბრების დროს თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლები და აკადემიური პერსონალი ვერ საუბრობდა სრულყოფილად სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმზე, ასევე, ვერ მსჯელობდა ნიშნულების დათქმის მეთოდოლოგიაზე.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

რეკომენდაცია **5** არ არის გაზიარებულია დაწესებულების მიერ. ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ რეკომენდაციის ძალაში დატოვება. პროგრამა ნამდვილად მოიცავს სასწავლო კურსებს, რომლებიც თავისი შინაარსით თუ შეფასების კომპონენტებით ავითარებს აღნიშნულ შედეგს.

რეკომენდაცია **6** სრულად გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია **7** არ არის გაზიარებულია დაწესებულების მიერ. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ რომ რეკომედაცია უნდა დარჩეს ძალაში. არგუმენტაციის ნაწილში ძირითადად საუბარია კომპლექსური თეორიული კურსების მე-6, მე-7 ან მე-8 სემესტრებში შეთავაზებაზე და არა მათ რიგითობზე.

რეკომენდაცია **8** გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია **9** გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია **10** არ არის გაზიარებული დაწესებულების მიერ. ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულებას მემორანდუმებში მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. თუმცა, ძირითად რეკომენდაცია რჩება უცვლელი, რადგან წარმოდგენილი მემორანდუმები, ძირითად, გაფორმებულია ზოგადი განათლების დაწესებულებებთან, რომლებიც პროგრამისთვის რეალურად არ წარმოადგენენ პოტენციური დასაქმების ადგილს. რაც შეეხება სხვა ტიპის დაწესებულებებს, მათი ჩამონათვალი მწირია, შესაბამისად საჭიროა პრაქტიკის ობიექტების დამატება, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე, გასაუბრების დროს პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები ვერ საუბრობდნენ მისაღები სტუდენტების რაოდენობაზე **დ**ა პრაქტიკის ხანგრძლივობაზე. ხშირ შემთხვევაში სახელდებოდა 2-3 კვირა, რაც არაა შესაბამისი წარმოდგენილ სილაბუსთან.

რეკომენდაცია **11** -ის შესახებ დაწესებულების პოზიცია ბუნდოვანია. შესაბამისად, ექსპერტები რეკომენდაციას ძალაში ტოვებენ.

რეკომენდაცია **12** გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია **13** არ ეთანხმება დაწესებულება. ექსპერტებმა იმსჯელეს საკითხზე და მიზანშეწონილად მიიჩნიეს რეკომენდაციის რჩევაში გადატანა. მისაღებია რომ უნივერსიტეტში არსებობს მექანიზმი, მაგრამ სასურველია მეტი კომუნიკაცია განხორციელდეს სტუდენტებთან, რადგან გასაუბრების დროს აღნიშნულის შესახებ არ იყო ჩამოყალიბებული აზრი სტუდენტებს შორის. შესაბამისი ცვლილება შევიდა საბოლოო დასკვნაში.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სასწავლო პროგრამის მიზნები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის აღმწერის მიხედვით, კერძოდ კი, ენის დაუფლების სფეროს მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის მიზნები ძირითადად რეალისტურია. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ შეიძინონ ინგ ლისური ფილოლოგიის სფეროს, ინგლისური ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის და ბრიტანული კულტურისა და ლიტერატურის საკითხების ფართო ცოდნა. პროგრამის სწავლის მიზნების შესაბამისად, სტუდენტები შეიძენენ უნარებს მოიძიონ და გაანალიზონ პროფესიული, ლინგვისტური თუ ლიტერატურის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია, მიიღონ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და შრომის ბაზრის შესაბამისი განათლება და შეიქმნან საფუძველი გააგრძელონ სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. წარმოდგენილი რედაქციით, პროგრამა ასევე მიზნად ისახავს სტუდენტებს განუვითაროს ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი „ენების სწავლის, სწავლების და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ მიხედვით C1 დონეზე. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის შინაარსის და მისაღები სტუდენტების კომპეტენციის გათვალისწინებით რთული იქნება ენის ათვისება C1 დონეზე, ამიტომ რეკომენდებულია მიზანში განსაზღვრული იყოს B2 დონის მიღწევა (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სტანდარტი 1.4 და 1.5) ან მიზნის ფორმულირება შემოიფარგლოს მხოლოდ ზოგადი აღმწერით, ენის დაუფლების დონის შესაბამისად. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე გამყარებულია სტუდენტებთან და უცხოელ მოწვეულ ლექტორებთან გასაუბრებით, რომლებიც მიუთითებენ რომ მე-4 კურსელები ძირითადად შეძლებენ B2 დონის კომპეტენციის დადასტურებას.

სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ პროგრამის მნიშვნელობა და ადასტურებენ რომ იგი შედგენილია რეგიონის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა მეტწილად ემსახურება ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ მოსახლეობას, რაც უნიკალური შანსია სასწავლო უნივერსიტეტმა შეასრულოს, ერთდოულად, საგანმანათლებლო და სამშვიდობო მისია. ამას გარდა, რეგიონის ბაზრის მოთხოვნაა სტუდენტებს შესძინონ ორი ძირითადი კომპეტენცია, ტექნოლოგიების ცონდა და ენის შესაბამისი კომპეტენცია.

აღნიშნული დასტურდება ჩატარებული ბაზრის კვლევით, დამსაქმებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს უპირობა მზადყოფნას ხელი შეუწყოს პროგრამის არსებობას ფინანსური მდგრადობის მიუხედავად. პროგრამა ფინანსდება საფაკულტეტო ბიუჯეტის ფარგლებში, შესაბამისად მოქმედებს პროგრამების ურთიერთ მხარდაჭერის გამოცდილება. ამასთანავე, სასწავლო უნივერსიტეტი ინგლისური ფილოლოგიის შესანარჩუნებლად იყენებს მუნიციპალურ დაფინანსებასაც.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას. იგი უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სტუდენტების გაზრდას. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ამჟამად იძებნება პროგრამა ძველი რედაქციით. შესაბამისად, აკრედიტაციის შემთხვევაში მოსალოდნელია მისი ჩანაცვლება პროგრამის ახალი დოკუმენტით.

პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას. დაწესებულება ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასა და სტუდენტების კონტიგენტის გაზრდაზე, რასაც წარმოდგენილი პროგრამა ნამდვილად უწყობს ხელს. ადმინისტრაციისთან გასაუბრების შედეგედად დასტურდება, რომ დაწესებულება მიმართავს სხვადასხვა ღონისძიებას რათა პროგრამა გახდეს მეტად პოპულარური აბიტურიენტებს შორის და მუდმივად ჩართული იყოს საერთაშორისო პროექტებში.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები გაზიარებული აქვთ პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პირებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- შრომის ბაზრის კვლევა
- გასაუბრების შედეგები
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://www.zssu.ge/zssu2/node/709

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მიზნით განსაზღვრული იყოს ინგლისრული ენის კომპეტენციის B2 დონეზე განვითარება ან შეიცვალოს მიზნის ფორმულირება და შემოიფარგლოს მხოლოდ ზოგადი აღწერილობით, მოცემული იყოს ენის დაუფლების დონის შესაბამისი კომპეტენციების განვითარება. ინგლისური ენის შესაბამისი დონის მიღწევა კი გაიწეროს სწავლოს შედეგებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	x	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები (7 შედეგი) განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისია. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს შესახებ ცოდნის მიღებას (შედეგი 2, 3), ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებას (შედეგი 1, 6), მეორე უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარს (შედეგი 4), ავითარებს პროფესიულ, ლინგვისტური თუ ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების და დამუშავების შესაძლებლობას (შედეგი 5, 7), აძლევს სტუდენტებს საფეხურის შესაბამისი და შრომის ბაზრის მოთხოვნების რელევანტურ ცოდნას (შედეგი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7) და ამზადებს მათ სწავლის ზედა საფეხურისთვის (შედეგი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7).

სწავლის შედეგების ფორმულირება ეხმიანება ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიებს. პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. საბაკალავრო ნაშრომი, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობები და ა.შ.) მეშვეობით პროგრამა დიდ ყურადღებას აქცევს სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს, რაც პროგრამის საგანთა თემატური ვარიაციულობითაც დასტურდება.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და უმეტესად მიღწევადი და რეალისტურია სასწავლო გეგმისა (კურიკულუმის) და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით. თუმცა, ექსპერთან ჯგუფი მიიჩნევს რომ პროგრამის პირველი შედეგი (იყენებს ინგლისური ენის ცოდნას C1 დონეზე წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისთვის ...) შედარებითი ამბიციური და წარმოდგენილი შინაარსით და სტუდენტების საწყისი დონის გათვალისწინებით, რთულად მისაღწევი იქნება . პროგრამის ხელმძღვანელები აღნიშნულ გადაწყვეტილებას ხსნიან იმ ფაქტით, რომ ასეთი ჩანაწერით პროგრამა უფრო მიმზიდველი გახდებოდა სტუდენტებისთვის. თუმცა, სტუდენტები გასაუბრების დროს აღნიშნავდნენ, რომ პროგრამას ძირითადად მიმზიდველს ხდის კურსების მრავალფეროვნება და არა კონკრეტულად ენის კომპეტენციის დონე. ამას გარდა, გასაუბრების შედეგად პროგრამის ხელმღვანელი და აკადემიური პერსონალი ადასტურებს, რომ სტუდენტები უმეტესწილად მოდიან ინგლისური ენის A1 დონით. ჩარიცხვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია ენობრივი კომპეტენციის განმსაზღვრელი წერა, ხოლო პრაქტიკული ენის შესწავლა შესაძლოა დაიწყოს A1 ან A2 დონიდან. აღნიშნული კიდევ უფრო რთულს ხდის სტუდენტების, საბოლოო ჯამში, c1 დონეზე გაყვანის შესაძლებლობას. გასაუბრების დროს სტუდენტები აღნიშნავდნენ რომ მათ დაყოფა არ ხდება დონეების მიხედვით. ასევე, აკადემიური პერსონალი და მოწვეულ ლექტორები გასაუბრების დროს აღნიშნავდნენ, რომ მე-4 კურსის სტუდენტებს ძირითადად B2 დონე აქვთ. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა პროგრამით

გათვალისწინებული ინგლისური ენის სწავლების სილაბუსები და ადასტურებენ რომ წარმოდგენილი შინაარსით სტუდენტს გაუჭირდება ყველა უნარი განავითაროს C1 დონეზე. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი C1 დონის ნაცვლად შეიცვალოს B2 დონით, აღნიშნული არ დააკნინებს პროგრამის მიმზიდველობას, ასევე თავისუფლად შეძლებს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც..

ინტერვიურებისას (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები) გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუსავებისა და მოდიფიკაციის პროცესში. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი ამ პროცესში ჩართულნი არიან პირდაპირი კომუნიკაციისა და უკუკავშირის ფორმით; იგივე დაადასტურეს დამსაქმებლებმა და სტუდენტებმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის დოკუმენტი
- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა
- შრომის ბაზრის კვლევა
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის პირველი შედეგით განსაზღვრული ინგლისური ენის კომპეტენციის დონე განისაზღვროს B2 დონით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	x	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან თანამშრომლობით. სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებულია პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, რომლის ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია გაიზომოს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია საგნობრივი/კრებსითი გამოცდა, პრაქტიკული დავალება, პროექტი, სამაგისტრო ნაშრომი და სხვა. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია პროგრამის დანართი 1 - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი. სამიზნე ნიშნულები და შესაბამისი შეფასების მექანიზმი პროგრამისთვის სიახლეა და მისასალმებელია რომ სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სისტემური მიდგომა სწავლის შედეგების შეფასების კუთხით. თუმცა, დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ შეფასების მექანიზმის დასახვეწია და გასათვალისწინებელია რამდენიმე საკითხი. რეკომენდებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს ძირითადად იმ სასწავლო კურსებით, რომლებიც გადიან განმტკიცების დონეზე. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, რომელთა განზოგადებაც შეიძლება:

· შედეგი 1 (იყენებს ინგლისური ენის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) ცოდნას C 1 დონეზე წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, ზოგად და სპეციფიკურ კონტექსტში, მ. შ. რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად) ვერ შეფასდება კურსით - ენობრივი უნარები 5, რადგან იგი გადის განმტკიცების დონეზე.

· შედეგი 5, იყენებს რომელიმე მეორე უცხოურ ენას B1 დონეზე, შეიძლება შეფასდეს მეორე უცხოური ენა 4-ით, რომელიც უნდა გავიდეს განმტკიცების დონეზე (აქვე, აღსანიშნავია რომ სწავლის შედეგების შეფასების რუკაში ტექნიკური ხარვეზებია. საერთოდ არაა წარმოდგენილი მეორე უცხოური ენა 3 და 4, ხოლო მეორე უცხოური ენა 1 გადის გაცნობის, 2 კი გაღმავების დონეზე).

· შედეგი 7 (აყალიბებს და გადაცემს პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სპეციფიკური შინაარსის ტექსტებს, ინგლისური ფილოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარ პასუხისმგებლიან მოსაზრებებს და არგუმენტირებულ დასკვნებს წერილობითი და ვერბალური ფორმით, შესაბამისი ტერმინოლოგიის დაცვით ქართულ და ინგლისურ ენაზე, სპეციალისტებისთვის (და არასპეციალისტებისთვის), თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით) შეიძლება შეფასდეს ენობრივი უნარები 6-ით, General Linguistics, საბაკალავრო ნაშრომით და არა ენობრივი უნ არები 4 და 5-ით.

ზემოთ ხსენებული რეკომენდაცია გასათვალისწინებელია, რადგან თავად სასწავლო უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტი - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - მუხლი 11.13.ა აღნიშნავს, რომ „ პირდაპირი მეთოდებით - საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ (capstone course - საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი, პრაქტიკა და სხვა) და ეფუძნება პროგრამის იმ სასწავლო კურსების შეფასებას, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება.

ასევე, იმავე დოკუმენტით განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები. გასაუბრების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა ვერ ახსნა თითოეული შედეგისთვის განსაზღვრული ქულის ლოგიკა, სხვადასხვა შედეგი განსხვავებული ქულათი რაოდენობით იზომება. ვითვალისწინებთ ისევ და ისევ, რომ აღნიშნული მექანიზმი სიახლეა, შესაბამისად, სასურველია მეტი

მსჯელობა გაიმართოს პროგრამის განმახორციელებელ პირთა შორის მექანიზმის ლოგიკასთან დაკავშირებით. ზოგადად, პროგრამის თვით-შეფასების ჯგუფი და აკადემიურ პერსონალს აკლია ინფორმაცია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით. შესაბამისად, რეკომენდებულია გაიმართოს მსჯელობა, გაცნობითი ხასიათის შეხვედრები პროგრამის განმახოციელებელ პერსონალთან აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ასევე არაპირდაპირი მეთოდით ხდება, რაც გულისხმობს პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვებას, დამსაქმებელთა გამოკითხვას, პრაქტიკის ხელმძღვანელის, კოლეგების გამოკითხვას, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვას. ვინაიდან აღნიშნული პროგრამის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, მსჯელობისას შემოვიფარგლებით მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციით, რაც გამართულია და საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნებს აღნიშნული მექანიზმი პრაქტიკაში. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის თანახმად, შეიქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განახორციელებს შეფასებას და მოხდება შედეგების ანალიზი პროგრამის განვითარების მიზნით. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით გაწერილია არაპირდაპირი შეფასების პერიოდულობა და სტუდენტთან რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით შედეგის შესაფასებლად. მტკიცებულების სახით შეგვიძლია ასევე მოვიყვანოთ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამოკითხვის ჩატარების წესი, რომელიც მოიცავს ზოგად მეთოდოლოგიას, ასევე კონკრეტულ კითხვარებს პროგრამაში ჩართული პირებისთვის თუ სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- დანართი 1 - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წასვლის შედეგების შეფასება
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამოკითხვის ჩატარების წესი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმის კრიტიკული გადახედვა. განისაზღვროს განმტკიცების დონეზე გამავალი სასწავლო კურსები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ შედეგის შეფასება. ასევე, საჭიროა გააზრებული იყოს ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკა.
- ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, რათა მათთვის ნათელი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმის ფუნქციონირების ლოგიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☐	x	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინგისური ფილოლოგიის პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამის შინაარსი მრავალფეროვანია, სასწავლო კურსები წარმოადგენს პრაქტიკული ენის კომპეტენციის, ლინგვისტიკის საფუძვლების და ლიტერატურის ისტორიის შესწავლის კარგ ბალანსს. შესაბამისად, პროგრამა შინაარსობრივად შედგენილია ეროვნული კვალიფიაკაციათა ჩარჩოს (მეექვსე დონე) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში - შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ინგისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბასაბამისად და საერთო ჯამში, შედგება 240 კრედიტისგან, რომელიც გადანაწილებულია ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებსა (140 ECT) და თავისუფალ სასწავლო კურსებს შორის (100 ECT). ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები მოიცავს სავალდებული სასწავლო კურსებს (120 ECT), საბაკალავრო ნაშრომს (10 ECT), პრაქტიკას (5 ECT) და ძირითადი სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს (20 ECT). მეორეს მხრივ, თავისუფალი კომპონენტი შედგება თავისუფალი სავალდებულო სასწავლო (40 ECT) და თავისუფალი არჩევითი კურსებისგან (60 ECT). წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის სასწავლო კურსები შერჩეულია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და ინტერნაციონალიზაციის გათვალისწინებით. პროგრამა დატვირთულია სასწავლო კურსებით რომლებიც ორიენტირებულია ენის კომპოტენციის განვითარებაზე, მათ შორის დარგობრივი მიმართულებით. დადებითად უნდა შეფასდეს სასწავლო უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა ინდივიდუალორ სასწავლო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით. ხარისხის სამსახურისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღნიშნავს, რომ ხშირად, გალიდან გადმოსული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, მათ სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა. დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტისა და საბაკალავრო ნაშრომის ინტეგრირების მცდელობა.

პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სასწავლო კურსების თანმიმდევრობა გონივრულად არის დალაგებული და ითვალისწინებს წინაპირობებს, რაც უზრუნველყოფს შინაარსის ლოგიკურ განვითარებას კონკრეტული დისციპლინების გაცნობიდან, განმტკიცებამდე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის
- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის დოკუმენტი
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	x	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამა შინაარსობრივი კუთხით სტუდენტებს სთავაზობს კარგად დაბალანსებულ პრაქტიკულ და თეორიულ სასწავლო კურსებს კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერისა და ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამაში სასწავლო კურსების კრედიტ ქულების გადანაწილება ლოგიკურია და შეესაბემა პროგრამის სპეციფიკას, შინაარს. პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი, გასაუბრების დროს, აღნიშნავდნენ რომ თითოე ული სასწავლო კურსისთვის კრედიტ ქულების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობდნენ კურსის კომპლექსურობის, შინაარსის და კურსის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილებით. შესაბამისად, რიგ კურსებში გაზრდილია საკონტაქტო საათების რაოდენობა, რაც ასევე მოთხოვნილი იყო სტუდენტების მხრიდან. სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება ლოგიკურია და შეესაბამება თითოეული კურსის შინაარს და კომპლექსურობას.

სასწავლო კურსები შინაარსობრივად მრაველფეროვანია, თუმცა ექსპერთა ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია გადაიხედოს კონკრეტული კურსების სემესტრული გადანაწილება. მაგალითად, მიგვაჩნია რომ აკადემიური წერა, მნიშვნელოვანი კურსია სტუდენტების წერითი კომპეტენციის განვითარებისთვის, ასევე, იგი დიდ როლს ასრულებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში. შესაბამისად, პირველი კურსის, პირველ სემესტრში კურსის წარმოდგენილი შინაარსით შეთავაზება ნაადრევია. ასევე, მნიშვნელოვანია სტუდენტებს აკადემიური წერა ორ კომპონენტად ჰქონდეთ შეთავაზებული. შესაძლებელია პირველი კურსის, პირველ სემესტრში აკადემიური წერა 1-ის შეთავაზება, რომელიც ორიენტირებული იქნება უფრო წერითი უნარების განვითარებაზე. მოგვიანებით, შესაძლებელია აკადემიური წერა 2-ის მიწოდება, რომელიც ისაუბრებს სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურაზე, მის შესრულებაზე და მცირე დოზით, კვლევის საფუძვლებზე. აღნიშნული პირდაპირ პროპორციულად გავლენას მოახდენს საბაკალავრო ნაშრომების ხარისხზე. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საბაკალავრო ნაშრომებს და მიიჩნიეს რომ საჭიროა მათი ხარისხის გაუმჯობესება. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს აკადემიური სტილის დაცვაზე (აღნიშნულის შესახებ სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, ისინი ვერ ასახელებენ კონკრეტულ აკადემიურ სტილს, რომლითაც შეუძლიათ იხელძღვანელონ), წყაროების სათანადოდ მითითებასა და ზოგადად, წერის კულტურაზე. ასევე, მნიშვნელოვანია კვლევის კომპონენტისა და ანალიზის ნაწილის დახვეწა.

ასევე, ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა მიზანშეწონილია ისწავლებოდეს მე-6 ან მე-7 სემესტრებში, კურსის შინაარსის გათვალისწინებით. მართალია პრაქტიკული გრამატიკის კურსებს სტუდენტები სწავლების პირველ და მეორე სემესტრში გადიან, თუმცა, თეორიული საფუძვლების უკეთე ათვისების მიზნით, უმჯობესია სტუდენტებს განვითარებული ჰქონდეთ მსგავსი დისციპლინების სწავლის უნარის.

პრაქტიკის კომპონენტის ინტეგრირება სასწავლო პროგრამის შინაარსში მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის და ზოგადად, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწიენებისთვის. თუმცა, საჭიროა აღნიშნული კომპონენტის დახვეწა და ეფექტური განხორციელება. მიუხედავად იმისა რომ შესაბამის სილაბუსში გაწერია პრაქტიკის შეფასების კომპონენტები, გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ პრაქტიკის განმახორციელებელი სავარაუდო ობიექტების წარმომადგენლებს არ აქვთ ამომწურავი ინფორმაცია პრაქტიკის მიზანზე და განხორციელების ეტაპებზე, ასევე განსხვავებული მიდგომაა პრაქტიკის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული კომპონენტის დახვეწა, განხორციელების ეტაპების გააზრება და ჩართული მხარეების მეტად ინფორმირება.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრმის სწავლის შედეგების რუკა, რომლის გაცნობის, ასევე სილაბუსების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავადასტუროთ პროგრამის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობა. თითოეული სასწავლო კურსი გადის სამ დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). თითოეულ სილაბუსში მოცემულია სქემა, რომელიც

თვალნათლივ წარმოაჩენს თუ როგორ ფასდება თითოეული სწავლის შედეგი შეფასების კომპონენტებით, ასევე, პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე აკეთებს კონტრიბუციას კურსის თითოეული სწავლის შედეგი. თუმცა, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს რომ სწავლის შედეგის შეფასება მოხდეს შეფასების კომპონენტებით (მაგალითად: პრეზეტანცია,შუალედური და დასკვნითი გამოცდა, რეფერატი და სხვა) და არა ინდივიდულური დავალებებით (ღია და დახურული შეკითხვები). მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სასწავლო კურსები ანალიზური კითხვა, თეორიული გრამატიკა, აკადემიური წერა და სხვა.

ასევე, სასწავლო კურსების შედეგები დალაგებულია ცოდნა გაცნობიერებისა და უნარების შედეგების მიხედვით. თუმცა, არის რიგი სასწავლო კურსები, რომლებიც თავისი შინაარსით და შეფასების კომპონენტებით ასევე აუცილებლად გადის ავტონომიურობის შედეგებზე, მაგრამ უმეტესად აღნიშნული არაა გამოკვეთილი. მაგალითად, ინგლისური ენის თეორიული გრამატიკაში მოთხოვნილია რეფერატის შესრულება, რაც ბუნებრივია გამოუმუშავებს სტუდენტებს ავტონომიური მუშაობის უნარებსს. ასევე, ლექსიკოლოგია და ანალიზიური კითხვაში არის სათანადო შინაარსი და შეფასების კომპონენტები (ესე შესრულება), რომლებიც უზრუნველყოფს ავტონომიურობის განვითარებას. კურსი, General Linguistics, ერთ-ერთი კურსია, რომლითაც შესაძლებელია პროგრამის სწავლის შედეგის შეფასება, კურსის შეფასების კომპონენტები მოიცავს ჯგუფურ და ანალიტიკურ სამუშაოს, რაც ნამდვილად გადის ავტონომიურობის შედეგზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის დოკუმენტი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და სათანადო სილაბუსებში ავტონომიურობის განმავითარებელი სწავლის შედეგის გამოკვეთა.
- რეკომენდებულია აკადემიური წერის სასწავლო კურსის გაშლა ორ ნაწილად, აკადემიური წერა 1, რომელიც უფრო წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე იქნება ორიენტირებული, ხოლო აკადემიური წერა 2 - ფოკუსირებული იქნება სამეცნიერო ნაშრომის კომპონენტების დახვეწაზე.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სემესტრული გადანაწილების გადახედვა და დალაგება კურსის კომპლექსურობის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის მეტად გააზრება და შეთანხმება პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან.
- რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომების ხარისხის დახვეწა, აკადემიური სტილის შესახებ სტუდენტების მეტად ინფორმირება და სტილის დაცვა სამეცნიერო ნაშრომებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე გასვლის კრიტერიუმები. საჭიროა მოყვანილი იყოს მხოლოდ შეფასების კომპონენტები და არა კონკრეტული დავალების სახეობები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☐	x	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა მესხიას ზუგდიდი სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანალებლო პროგრამაზე სწავლების უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობა კი ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური ზღვრის გადალახვაა. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი- გამოცების ეროვნული ცენტრი- NAEC. საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდებს ჩაბარების გარეშე უნივერსიტეტში მოხვედრა კი შესაძლებელია (1) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; (2) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული

ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; (3) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. (4) საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან /პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის დადგენილი წესის შესაბამისად. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ (შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების განმავლობაში).

ინგლისურ ფილოლოგიაზე დაშვების წინაპირობებში არ არის დაწესებული ინგლისური ენის კომპეტენციის შიდა საუნივერსიტეტო გადასალახი ზღვარი. სტუდენტები ეროვნულ გამოცდზე ინგლისურ ენაში მინიმალური ზღვრის გადალახვისა და უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემთხვევაში წერენ ტესტს, ე.წ. Placement Test და აქვთ გასაუბრება, რომ დადგინდეს მათი ენობრივი დონე. თუმცა, ყველა ინგლისური ფილოლოგიის პირველკურსელი ინგლისურის შესწავლა/განმტკიცებას იწყებს B1 დონიდან და სამი წლის განმავლობაში ადის C1-მდე. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაბალი ენობრივი კომპეტენციით ხვდებიან უნივერსიტეტში, მათთვის გათვალისწინებულია ინგლისური ენის ინტენსიური კურსი ენათა ცენტრში. აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ფილოლოგიაზე მოხვედრა შესაძლებელია მობილობითაც, რომელიც არ ზღუდავს ისეთი სტუდენტის მიღებას, რომელსაც ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენა აქვს ჩაბარებული და შეიძლება ინგლისურის შესწავლა სრულიად დამწყები დონიდან მოუწიოს, ბუნებრივია, ამან შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს იმის შესაძლებლობა, რომ სტუდენტი ბაკალავრიატის მესამე კურსზე გავიდეს C1 (CEFR) დონეზე;
უმაღლესი სასწავლო დაწესებულება განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას მისი მატერიალური ბაზის, ადამიანური რესურსებისა და მოთხოვნადობის გათვალისწინებით, სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციის გათვალისწინებით. პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მათ გააზრებული აქვთ სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის მიღების შესაძლებლობა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ისინი ასევე აღნიშნავენ რომ ორიენტირებულები არიან მეტად პოპულაური გახადონ პროგრამა, შესაბამისად, ატარებენ შეხვედრებს აბიტურიენტებთან და სხვადასხვა ტიპის გასართობ ღონისძიებებს სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობის და მიმზიდველობის გაზრდის მიზნით.
პროგრამაზე დაშვება სამართლიანია. მასზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სავსებით შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დაგეგმილ შემთხვევაში. ინფორმაცია საჯაროა და ვებ-გვერდის საშუალებით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საჭირო ინფორმაციის მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	x	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც ეს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, დოკუმენტაციასა თუ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისთვის თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული უნარების გამომუშავება აუცილებელია. ამისათვის პროგრამას დაემატა რამდენიმე საგანი, მათ შორის ,,პრაქტიკა" (სავალდებულო, 5 კრედიტი- 125 საათი), რომელიც ითვალისწინებს მუზეუმებში, გამომცემლობებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში თუ ენათა ცენტრებში პრაქტიკის გავლას. კურსის ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების, მაგ., მთარგმნელობითი პრაქტიკა, მასწავლებლობა, გიდობა და ა.შ. გარდა ამისა, პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტებს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი და მენტორი მასპინძელი დაწესებულიდან, რომელიც შესაბამისი რუბრიკის დახმარებით აფასებს სტუდენტების საქმიანობას. პრაქტიკა მოიცავს 10 სასწავლო კვირას, აქედან 8 კვირა სტუდენტი პრაქტიკას უშუალოდ ობიექტზე ახორციელებს. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტმა უნდა შეასრულოს ორანიზაციის მიერ მისთვის გამოყოფილი სამუშაო და აწარმოოს დღიური, რომელშიც მოცემული იქნება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს დეტალური აღწერა და ჩანაწერები იმის შესახებ თუ ამ აქტივობებით რა პროფესიული კომპეტენცია განივითარა. პრაქტიკის დასრულების შემდეგ კი მან უნდა შექმნას პრაქტიკის ანგარიში და დაიცვას ის საჯაროდ. პრაქტიკის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტიანია. სტუდენტის ობიექტზე აქტივობა ფასდება 60 ქულით, ხოლო ანგარიში 40 ქულით. აქტივობა მოიცავს მოტივაციას, ორგანიზიის უნარს, დავალების შესრულების ხარისხს და კომუნიკაციის უნარს, ხოლო პრაქტიკის ანგარიში ფასდება ნაშრომის ფორმალური მხარისა და პრეზენტაციის მიხედვით.

როგორც აღინიშნა, პრაქტიკის მიმართულებები მრავალფეროვანია და მოიცავს სხვადასხვა უნარებს, თუმცა წარმოდგენილი მემორანდუმები და გაფორმებული ხელშეკრულებები და მათი დანართები არ გვაწვდის ინფორმაციას ამა თუ იმ დაწესებულებაში პრაქტიკის ხანგრძლივობის, სტუდენტების რაოდენობის თუ კონკრეტული პრაქტიკის მიზნების შესახებ, რომლის დაკონკრეტებაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობდა პრაქტიკის პროცესის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებას. გარდა ამისა, მემორანდუმების უმეტესობა გაფორმებულია სკოლებთან. სხვა დაწესებულებებთან საქმიანი თანამშრომლობა გაამრავალფეროვნებდა პრაქტიკის კომპონენტს და ხელს შეუწყობდა სხვადასხვა ავტონომიური უნარების განვითარებას.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა სხვადასხვა კონფერენციების გამართვით ხელს უწყობს სტუდენტებს რომ გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარები. მაგალითად, სტუდენტებს საშუალება

ჰქონდათ დასწრებოდნენ და წარმოედგინათ ნაშრომები პენსილვანიის საერთაშორისო კონფერენციაზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტში იმართება სტუდენტური დღეებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- მემორანდუმები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პრაქტიკის კომპონენტის ობიექტების გამრავალფერონება და თითოეულ კონტრაქტში პრაქტიკის ხანგრძლივობის, მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და კონკრეტული მიზნების გაწერა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	x	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსის თუ საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, საგანსა და მის შინაარს. თუმცა, მნიშვნელოვანია თითოეული კურსის სწავლების მეთოდიკა და დაგეგმვა უზრუნველყოფდეს საგნის მიზნების მიღწევას. მაგალითისთვის, საინტერესოა პრაქტიკული ინგლისურის კურსებზე (ინგლისური A2, B1, B2, C1), როგორ გამოიყოფა და ნაწილდება სალექციო დრო სხვადასხვა კომპონენტებზე- გრამატიკა, ლექსიკა, კითხვისა, მოსმენის უნარები. გარდა ამისა, გასაწერია ზუსტი შედეგები, თუ რომელი კომპონენტი გადის რომელ შედეგზე და როგორ ფასდება თითოეული უნარი. სასურველია სხვადასხვა კომპონენტებისთვის სხვადასხვა რუბრიკების მომზადებაც, რადგანაც იდენტური შეფასებები ვერ

გაითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. მაგალითისთვის, შესავალ ინგლისურ ფილოლოგიის სილაბუსი არ გვთავაზობს სათანადო რუბრიკას, მაგ., არ ჩანს თუ რა განსხვავებაა დახურულ კითხვებსა და პრაქტიკულ სამუშაოს შორის და რამდენი ქულა ერგება ორივე დავალებას. ასევე, ენათმეცნიერების შესავალში რეფერატის საერთო ქულა არის 10, კრიტერიუმების დაჯამებით კი ვიღებთ 11-ს. მსგავსი ტიპის რეკომენდაციების (ჩარჩენილი შეცდომები, ჩასაშლელი რუბრიკები, რუბრიკების გამრავალფეროვნება, რომ მოერგოს სხვადასხვა ასპექტებსა და კურსის სპეციფიკას) განზოგადება შესაძლებელია სხვა სილაბუსებზეც.
აღსანიშნავია, რომ კურსებში ინტეგრირებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა გონებრივი იერიში, თანამშრომლობითი სწავლა, დისკუსია-დებატები, ანალიზი-სინთეზი, ჯგუფური აქტივობები, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, ახსნა-განმარტება და სხვა. თითოეული ეს მეთოდი უზრუნველყოფს სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას, თუმცა თეორიულ საგნებზე არ არის გამოკვეთილი ავტონომიური სწავლება.
უნივერსიტეტი გამოირჩევა მდიდარი ელექტრონული რესურსებითაც, მათ შორის სტუდენტებს უფასო და სრული წვდომა აქვთ ისეთ სამეცნიერო საიტებზე, როგორებიცაა Cambridge Core, OpenEdition, Duke University Press. უფრო მეტიც, სტუდენტებს საიტებზე შესვლა შეუძლიათ არა მხოლოდ უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, არამედ სახლიდანაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა და რუბრიკების გამრავალფეროვნება/დაზუსტება და მათი სხვადასხვა ასპექტებზე და კურსის სპეციფიკაზე მორგება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	x	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია რომ ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამიც შეადგენს 100 (ასი) ქულას. შეფასებისათის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები როგორიცაა ზეპირი/წერილობითი გამოკითხვა, საშინაო დავალება და პრაქტიკული/თეორიული კომპონენტი. აღნიშნული შეფასების კომპონენტი აერთიანებს ასევე სხვადასხვა მეთოდებს, რომ ლებშიც შედის ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია დისკუსია, ჯგუფურად მუშაობა, რეფერატი, წერილობითი და დავალება და სხვა. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წამოდგენილ სილაბუსებში ვხვდებით სხვადასხვა ტიპის შეფასების კრიტერიუმებს. საგნების მიხედვით განსხვავდება შეფასების მეთოდებიც. ზოგიერთ მათგანში შეფასება ხორციელდება საშინაო დავალების, პრეზენტაციის, შუალედური და დასკვინითი შეფასებით.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს კითხვები შეფასებასთან დაკავშირებით დაესვათ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს. აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ კურსის დაწყების წინ, თითოელ სტუდენტს აცნობენ სილაბუსს, სადაც ასევე განიხილავენ შეფასების ფორმატსა და კრიტერიუმებს. თითოეული სილაბუსი, სადაც აღნიშნული ინფორმაციაა თავმოყრილი ხელმისაწვდომია წინასწარ სტუდენტის პორტალში.

სტუდენტებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა რომ ზუსტად არ ფლობენ ინფორმაციას გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურების შესახებ. მათ ზოგადად აღწერეს პროცედურა და აღნიშნეს რომ თავდაპიველად შეფასება განთავსდება სტუდენტის პორტალში, რის შემდგომაც განიხილება შეფასებები ლექტორის მიერ, რომელიც უხსნის სტუდენტს თუ რაში და რატომ დააკლდა შეფასება. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი მაინც უკმაყოფილო დარჩება შეფასებით და ენდომება შეფასების გაუმჯობესება მას შეუძლია დეკანს მიმართოს წერილობითი განცხადებით, რომელიც შექმნის გასაჩივრების კომისიას, სადაც განიხილავენ სტუდენტის ნაშრომს. სტუდენტებმა აღნიშნეს რომ მათ უშუალოდ არ გამოუყენებით გასაჩივრების მექანიზმი, მაგრამ სხვა სტუდენტებისაგან დაახლოებით იციან აღნიშნული პროცედურის შესახებ.

ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან პლაგიატის მნიშვნელობისა და მისი დადგენის პროგრამის შესახებ. მათ აღნიშნეს რომ საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს turnitin-ის პროგრამას, სადაც როგორც შუალედური და დასკვნითი შეფასება იტვირთება, ასეე იტვირთება საბაკალავრო ნაშრომი. მათ აღნიშნეს რომ ნაშრომის ატვირთვის შემდეგ პროგრამა სხვისგან მიმსგავსებულ ან/და დაკოპირებულ ნაწილებს აწითლებს, რის შემდეგაც შესაძლებელია პლაგიატის დადგენა.

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ინსტრუქციაში აღნიშნულია რომ სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება, როგორც ხელმძღვნელის შეფასება, ისე კომისიის. თავდაპირველად 30 ქულის ფარგებში სტუდენტს აფასებს ხელმძღვანელი, რომელიც თითოეული კომპონენტის მიხედვით ახორციელებს აღნიშნულს. შეფასება ხორციელდება ეტაპობრივად, რაც გულისხმობს იმას რომ თავდაპირველად ფასდება სათაური, შემდგომ გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და ასე ეტაპობრივად მიყვება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სამწუხაროდ არც აკადემიური პერსონალი და არც სტუდენტები არ ფლობენ ინფორმაციას იმ სტილთან დაკავშირებით, რომელი სტილითაც უნდა შესრულდეს საბაკალავრო ნაშრომი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ინსტრუქციაში აღნიშნულია თუ რის საფუძველზე შეიძლება სტუდენტმა ვერ მიიღოს შეფასება და ვერ დაიცვას ნაშრომი. მასში აღნიშნულია რომ იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა მიღო 41 ქულაზე დაბალი, ამასთან გამოვლინდა რომ დაცვის პროცესს შლის ცდილობს ზეგავლენის მოხდენას ხელმძღვანელსა და კომისიის წევრებზე და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანაკთლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

- აკადემიური პერსონალის მიერ საქმიანობის შესრულების ანგარიში
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ინსტრუქცია
- საგანამანთლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, დაცული საბაკალავრო ნაშრომები.
- სტუდენტის პორტალი
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ, როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალს საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის შესახებ ზუსტი ინფორმაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია დაწესებულებამ დეტალურად მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია კურსის სილაბუსის, შეფასების კოპონენტებისა და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	x	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღწერილია ის სერვისები, რომლებიც დაწესებულებას აქვს სტუდენტებისათვის გამყოფილი ესენია: კარიერის განვითარების ცენტრი, უცხო ენების ცენტრი, სტუდენტური მომსახურების ცენტრი, საერთო საცხოვრებელი, ბავშვთა ოთახი, გადამზადების კურსები, უფასო სატრანსპორტო მომსახურება და სხვა. თავდაპირველად პროგრამის ხელმძღვანელთან და დაწესებულების რექტორთან ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს აღნიშნული სერვისების არსებობა და მათი მნიშვნელობა. განსაკუთრებით დადებითად უნდა შეფასდეს უცხო ენების ცენტრისა და საერთო საცხოვრების სერვისის არსებობას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტისათვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უცხო ენების ცენტრის მიერ ჩამოყვანილი ორი უცხოენოვანი პედაგოგის არსებობა დაწესებულებაში ძალიან მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია. რექტორთან ინტ ერვიუირებისას მან განმარტა საერთო საცხოვრებლის მნიშვნელობისა და მისი გამოყენების პროცედურა. საერთო საცხოვრებელში სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის განთავსება ხდება მცოცავი გრაფიკის პრინციპით, რომლის მეშვეობითაც აღნიშნულ სივრცეს ისინი იყენებენ საჭიროების მიხედვით. მაგალითად: შესაძლებელია საერთო საცხოვრებელში სტუდენტი 2 დღე დარჩეს, ან/და ერთი თვე, იმის მიხედვით თუ როგორ დადგება მისი საჭიროება. საერთო საცხოვრებლისათვის გამოყოფილია 60 000 ლარი, რომელიც სჭირდება აღნიშნულ სერვისს ფუნქციონირებისათვის.

აკადემიურ/ მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუს შედეგად აღნიშნეს რომ მათ აქვთ სტუდენტებთან კონსულტაციის საათები, რომელიც წინასწარ თანხმდება დეკანთან, რომელიც გამოსაჩენ ადგილას გამოიკვრება დაწესებულების ტერიტორიაზე. აღნიშნულის შესახებ სტუდენტებს, როგორც უშუალოდ მიეწოდებათ ინფორმაცია სემესტრის დასაწყისში, ისე სილაბუსშიც არის აღნიშნული, რაც ხელმისაწვდომი და ხილვადია სტუდენტებისათვის. აღნიშნული ინფორმაცია, ლექტორთან კონსულტაციის საათების შესახებ დაადასტურეს სტუდნტებმა, ამასთან აღნიშნეს რომ აქტიურად იყენებენ აღნიშნულ მექანიზმს, რომლის შესახებ სულ რომ არ იყოს სილაბუსში მითითებული, ვინაიდან დაწესებულება არის პატარა მარტივად ხდება ინფორმაციის გავრცელება და გაგება. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ სიახლეების შესახებ ვებ-გვერდიდან და სტუდენტური მეილის საშუალებით იღებენ ინფომაციას, სადაც ინტენსიურად იგზავნება სიახლეების, კონფერენციებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია სიახლეების ველში თავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზეც. თითოეულ აკადემურ პერსონალს აქვს პირადი საუნივერსიტეტო მეილი, რომელიც მითითებულია სილაბუსში და აღნიშნულის გამოყენება მათ მიერ ხდება აქტიურად. აღნიშნული მეილის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ ნებისმიერი კითხვისა თუ ინფორმაციის მიღება მათგან. სტუდენტური პორტალის საშუალებით, სტუდენტს შეუძლია, როგორც ლექტორთან, ისე დაწესებულების წარმომადგენლებთან კონტაქტი. აღნიშნული პორტალის საშუალებით ასევე მათ ეძლევათ საშუალება დაწერონ განცხადება ან/და მოითხოვონ სხვადასხვა დოკუმენტაციის მიღება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მათ გაფორმებული აქვთ სხავდასხვა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებლებთან, რომლებიც არის: სკოლები, მუზეუმი, მერია და ა.შ. კარიერის განვითარების ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, მაგრამ უმჯობესი იქნება თუ მათთან იქნება ინტენსიური კავშირი უკუკავშირისა და

შეფასების მიღების მიზნით, რადგან დამსაქნებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ თვითშეფასების ანგარიშის მუშაობის პროცესში ისინი არ იყვნენ ჩართული, ამასთან, არ აქვთ ინფორმაცია მათ მიერ მიწოდებული შენიშვნებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინება/სისრულეში მოყვანა თუ განხორციელდა.
დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ განხორციელდა სტუდენტისათვის 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობთით სტიპენდიის დანიშვნა. ამასთან, მერიის მხრიდან ფინანსდება სტუდენტის მიერ შეთავაზებული/წარდენილი ბიზნეს იდეა/ინიციატივა.
დაწესებულების მიერ წარმოდენილ დოკუმენტაციაში ჩანს რომ კურსდამთავრებულები უმეტესად სკოლებში არიან დასაქმებულები, რაც დადებითი ფაქტია, მაგრამ უმჯობესი იქნება თუ სხვა მიმართულებითაც დასაქმდება
დადებითად შეფასდება უცხოენოვანი ორი პედაგოგის ყოლა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაგრამ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, მათ სურთ უფრო მეტი უცხოენოვანი პედაგოგი ჰყავდეთ, რადგან ენის დასახვეწად პრაქტიკის უფრო მეტად გათვიცნობიერებისათვის სტუდენტებისათვის მეტად საინტერესო და მომხიბვლელია, ვიდრე ადგილობრივი პედაგოგის არსებობა.

დადებითად შევაფასებდი იმ სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ პრაქტიკას ინდივიდუალუ რ სასწავლო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით. ხარისხის სამსახურისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღნიშნავს, რომ ხშირად, გალიდან გადმოსული სტუდენტების ინტერესების გამომდინარე და გათვალისწინებით, მათ სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკად არის დანერგილი და აქტიურად იყენებენ, ვინაიდან სტუდენტების საჭიროებები მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს.

დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, მისი ხელშეწყობისა და აკადემიური პერსონალის პროექტებში ჩართვის მიმართულებით. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად იღებენ ინფორმაციას სხავდასხვა გაცვლითი პროგრამების შესახებ, მაგრამ პირადი და ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ მოახერხეს აღნიშნული საშუალების გამოყენება. კურსდათავრებულებთან შეხვედრისას, ორი მათგანი იყო წასული გაცვლითი პროგრამით და ასევე მიღებული ჰქონდათ საერთაშორისო პროექტსა და კონფერენციაში მონაწილეობა. დადებითად შეფასდება ინტერნაციონალიზაციასა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში ჩართვას, მაგრამ უმნიშვნელოვანესია ეს რიცხობრიობა გაიზარდოს და უფრო მეტი სტუდენტისათვის და აკადემიური პერსონალისათვისგახდეს შესაძლებელი საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის დატვირთვა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორანდუმები
- სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ხარჯი
- სტუდენტური საერთო საცხოვრებლის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის გამოყენებისათვის გაფორმებული მემორანდუმი
- კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ექსელის ფაილი
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით
- სტუდენტური პორტალი (LMS)

- ვებ-გვერდი
- ინერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაუმჯობესდეს კვლევითი პროექტების ხელშეწყობა და განხორციელება დაწესებულებაში, რაც მოიცავს მეტად სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო კვლევაში.
- სასურველია გაიზარდოს უცხოენოვანი პედაგოგების რაოდენობა დაწესებულებაში, რათა მეტი სალექციო დროით ჰქონდეთ სტუდენტებს მათთან შეხვედრის შესაძლებლობა.
- საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და პროგრამებში მეტად ჩართულობა, როგორც სტუდენტების ისე აკადემიური პერსონალის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	x	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	

მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია და მათი კვალიფიკაცია შეესაბამება იმ სასწავლო კურსების მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამით. წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებისა და CV-ს შესწავლისას დასტურდება, რომ ადამიანურ რესურსს აქვს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენცია. უფრო მეტიც, უნივერსიტეტი ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, იქნება ეს ფინანსური მხარდაჭერა თუ საზღვარგარეთ ტრეინინგებზე/კონფერენციებზე/გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, რაც მასწავლებლებმა ინტერვიუების დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად დაასახელეს.
პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 13 მოწვეული პერსონალი და 2 უცხოელი მოწვეული პერსონალი. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სტუდენტთა რაოდენობა (71 სტუდენტი) შესაბამის თანაფარდობაშია პროგრამაში ჩართულ პერსონალთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვასა და პროგრამის მდგრადობას. შესაბამისად, სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალით.
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარების აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. ის 2011 წლიდან ხელმძღვანელობს სხვადასხვა უნივერსიტეტებისენათა მიმართულებას, 2022 წლიდან კი არის შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორი და ინგლისური ფილოლოგიის ხელმძღვანელი. როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში, გეგმავს სასწავლო პროცესსა და კურიკულუმს. მაშინ როცა პროგრამის ხელმძღვანელი არ იმყოფება უნივერსიტეტში, მის მოვალეობას ასრულებს პროგრამის თანახელმძღვანელი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)		მიმართულებით პერსონალი[6]	დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი	2	-	-	2
- ასოცირებული პროფესორი	10	4	4	8
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	13	8	2	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV;
- სტუდენტებთან ინტერვიუ;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამა გაძლიერდეს მეტი დარგობრივი პერსონალით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	x	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტურად მუშაობისათვის მნიშვნელოვანია აკადემიური/მოწვეული პერსონალის შედეგების მუდმივი კონტროლი და შეფასება. აღნიშნული მნიშვნელოვანია, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე მთლიანად დაწესებლებისათვის, სადაც არიან დასაქმებულები აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

ინტერვიუს დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერიოდულად ხდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ, რომლებსაც ეგზავნებათ სტუდენტურ პლატფორმაზე შეფასების კითხვარი, რომლის შევსებაც სტუდენტის მხრიდან სავალდებულია. აღნიშნული შედეგები ეგზავნება ხარისხის უზრუნველოფის სამსახურს, რომელთან ერთადაც ფაკულტეტის დეკანი განიხილავს შედეგებსა და შეფასებებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 2022 წლის აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგებში აღნიშნულია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალი 2022 წლის განმავლობაში იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, ვორქშოპებში, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ამასთან, შეფასებებში აღნიშნულია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებში. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა დაწესებულების რექტორმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა აკადემიური პერსონალი ვერ მიდის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, პირადი/ოჯახური მდგომარეობიდან გამომდირე, კოფერენციებსა და პროექტებში აქტიურად არიან ჩართულნი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს შემდეგი ტიპის ღონისძიებებს: ტრენინგებზე სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენიგები და სამუშაო შეხვედრები, ანაზღაურებადი სამეციერო-შემოქმედებითი შვებულება, უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ მოდულები და სამეცნიერო ტრენინგ მოდულები. აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს რომ მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო პროექტში "dare"-ის ფარგლებში გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგში. ამასთან, დაწესებულების რექტორმა აღნიშნა რომ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს დასჭირდება კვალიფიკაციის მიზნით ანაზღლება შეუძლიათ აღნიშნული განახორციელონ უცხო ენების ცენტრის საშუალებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პერსონალის მიერ წარმოდგენილი რეზიუმებიდან ჩანს რომ მათ არაერთ სამენიერო კვლევებში, პუბლიკაციებსა და კონფერენციებში აქვთ მონაწილეობა მიღებული.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2022 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება, სადაც აკადემიური პერსონალის კვალიფიკაიის ამაღლების მიზნით უნდა ჩატარდეს მათი ხელშეწყობის ღონისძიებები.

ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა და დაწესებულების რექტორმა აღნიშნეს სტუდენტური საერთო საცხოვრებელს აქტიურად იყენებს, როგორც აკადემიური/მოწვეული პერსონალი, ისე სტუდენტები. ვინაიდან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან არიან აკადემიური პერსონალი, რომელსაც პერიოდულად ესაჭიროება აღნიშნული საცხოვრები გამოყენება. აღნიშნული მექანიზმი დადებითად შემიძლია შევაფასო, ვინაიდან დაწესებულებას აქვს საშუალება ხელი შეუწყოს იმ პერსონალს, რომელსაც გარკვეული დროით საერთო საცხოვრებლის გამოყენება ესაჭიროება.

2020 წელს ფაკულტეტის 25 აკადემიური პერსონალი დარეგისტრირდა და სამეცნიერო პუბლიკაციები განათვსა publons .com საერთაშორისო ბაზაზე. აღნიშნულ ბაზაზე დარეგისტრირებული პროფესორების რაოდენობის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულება მე-7 ადგილზეა საქართველოში. აკადემიური პერსონალისს მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები მაღალ ნიშნულზეა, ასევე მაღალი ინდექსაციით ხასიათდება საერთაშორისო ბაზაზე resear chgate.net .
აუცილებელია მიუხედავად საერთშორისო კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობის, აქტიურად ჩაერთოს აკადემიური/მოწვეული პერსონალი საერთაშორისო გავლით პროექტებში. ვინაიდან პერსონალის მიერ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში აქტიური ჩათულობა სტუდენტებსაც მისცემს მოტივაციასა და ბიძგს აღნიშნული საშუალების გამოყენების.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- 2020 წლის 21 დეკემბრის ბრძანება აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული საქმიანობის შედეგი.
- "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალარო პროგრამის აკადეიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა
- 2022 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება აკადემიური პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით დავალების გაცემის შესახებ
- საერთო საცხოვრებლის ბიუჯეტი, მათი გამოყენების შესახებ ბრძანება.
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველიამეტმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა გამოიყენოს საერთაშორისო გაცვლითი პროექტები და აღნიშნულის საშუალებით უფრო მეტი რაოდენობა წავიდეს სხადასხვა საერთაშორისო პროექტებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	x	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი

საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტურად ფუნქციონირებისათვის და სტუდენტის ცოდნის მიღებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმ მატერიალურ/ტექნიკური რესურსის არსებობა, რომელიც დაწესებულებას გააჩნია. იმისათვის, რომ სტუდენტმა ცოდნ ა ეფექტურად მიიღოს მას ესაჭიროება ტექნიკისა და რესურსის შესაბამისი რაოდენობით არსებობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2022 წლის 02 დეკემბრის ბრძანებით "კომპიუტერული რესურსის შესახებ" ჩანს, რომ დაწესებულებას გააჩნია ქ. ზუგდიდში, პერსონალური კომპიუტერი ჯამში 350 (სამას ორმოცდაათი) ცალი, პორტატული კომპიუტერი ლეპტოპი 70 (სამოცდაათი) ცალი და მონობლოკი 9 (ცხრა) ცალი. ხოლო, სენაკის ბაზაზე 120 (ას ოცი) პერსონალური კომპიუტერი და 40 (ორმოცი) ლეპტოპი. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ რაოდენობრივად პროექტორები, რომელიც დაწესებულებას გააჩნია საჭიროების შემთხვევაში სხვადასხა ოთახებში გადანაწილდება და ერთი ოთახიდან შესაძლოა გატანილ იქნას სხვა ოთახში. აღნიშნულზე დაყრდნობით, ვთვლი რომ პროექტორების რაოდენობა არ არის საკმარისი დაწესებულებისათვის, ვინაიდან შესაძლოა ერ მოხდეს სხვა ოთახში პროექტორის გადატანა იმ მოცემულობით, რომ სადაც იყო მანამდე განთ ავსებული იქაც დასჭირდეს სტუდენტს.

ინტერვიუს დროს, დაწესებულების მატერიალურ/ტექნიკური რესურსის დათვალიერებისას აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერებით, ინვენტარით, ჭკვიანი მონიტორებითა და დაწესებულებაში თითოეულ აუდიოტორიაში არის ინტერნეტი (wifi) მოწყობილობა დაყენებული.

დაწესებულების მიერ წარმდოგენილი 2022 წლის 18 ნოემბრის ბრძანებით "elsevier"-ის ბაზებზე წვდომის შესახებ აღწერულია ის ფაქტი, რომ დაწესებულებას 2014 წლიდან აქვს თავისუფალი წვდომა elsevier-ის sciencedirect-ისა და scorpus-ის ბაზებზე, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით აკადემიური პერსონალი აქტიურად ცდიობს შესაბამისი სამეცნიერო პროდუქტი ატვირთოს.

ინტერვიუს დროს, დაწესებულების ბიბლიოთეკაში შემოწმდა სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც დაწესებულებას აქვს, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონული ფორმით. დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი დოკუმენტაცია აღნიშნული ელექტრონული რესურსის შესყიდვისა და ფლობის ბიბლიოთეკი წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, კითხვები დაესვათ ბიბლიოთეკაში სტუდენტები მომართვიანობასთან დაკავშირებით, რაზეც მათ განმარტეს რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ საბიბლიოთეკო ტერიტორიასა და ბიბლიოთეკის მასალებს, როგოც მატერიალურად, ისე ელექტრონულად. ამასთან, სტუდენტები აქტიურად იყენებენ ელექტრონლ წყაროებს, რომლის გამიყენების შესახებ დაწესებულების ვებ-გვერდზე არის განთავსებული ინფორმაცია. დისტანციურად სწავლების დროს, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ თითოეული ფაკულტეტს ჰყავდა შესაბამისი კურატორი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებისათვის შესაბამისი ლიტერატურის დასკანერებასა და მიწოდებას. ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თითოეულ სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევათ ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურას, როგორც ადგილზე, ისე სახლში გაეცნონ. ამისათვის შესაბამისი ფორმა უნდა შეავსოს სტუდენტმა და შემდგომ შეეძლება ლიტერატურის წაღება სახლში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში
- 2022 წლის 02 დეკემბრის ბრძანება "კომპიუტერული რესურსის შესახებ"
- საბიბლიოთეკო, მატერიალური რესურსი (ადგილზე)

- 2022 წლის 18 ნოემბრის ბრძანება “elsevier”-ის ბაზებზე წვდომის შესახებ
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის შესახებ
- დაწესებულების ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმჯობესი იქნება თუ პროექტორების რაოდენობა გაიზრდება, რათა აღარ მოხდეს ერთი ოთახიდან მეორე ოთახში აქტიურად გადატანა. უმჯობესია იყოს საჭირო რაოდენობა, რათა ზუსტად იყოს აღნიშნული რაოდენობა სტუდენტის მოთხოვნიბებსა და საჭიროებებზე მორგებული.

○ შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	x	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციიათა და ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან გასაუბრებებით ჩანს, რომ წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში - აღნიშნული პროგრამის საჭიროებების შესაბამისად.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისათვის საჭირო ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებითვის საჭირო ფინანსები, მათ შორის ,,ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის“ მოსამზადებელი ფინანსური რესურსები.

რექტორის ბრძანებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაევალა ფაკულტეტის დეკანთან ერთად შეექმნა პროგრამის საჭიროებებისთვის შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფა არსებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

როგორც წარმოდგენილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მთლიანი ბიუჯეტიდან ჩანს, ფაკულტეტზე შემოსავლები შეადგენს 2, 218, 650 ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხა - 31, 150 , ხარჯის ნაწილი -1, 252, 150 ლარს შეადგენს, მათ შორის შრომის ანაზღურებაზე გამოყოფილია 645, 000 ლარი..

შესაბამისად, წარმოდგენილია ფაკულტეტის ბიუჯეტი - რაც აერთიანებს ფაკულტეტზე არსებული ყველა პროგრამის განხორციელების თანხებს. ამასთან, ინტერვიუერები აღნიშნავენ,რომ წარმოდგენილი პროგრამის ხარჯები და ფინანსური რესურსები, რაც გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტში ეკონომიკურად მიღწევადია.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის დეკანის მოადგილის შეფასებით, პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და წარმოდგენილი ფაკულტეტის ბიუჯეტით იფარება: პროგრამის განვითარების, სწავლა/სწავლების, კვლევის საწარმოებლად საჭიროხარჯი, ასევე, პერსონალის შრომის ანაზღაურების თანხა და პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის დაკავშირებული სხვა აუცილებელი ხარჯები.

რაც შეეხება წარმოდგენილი პროგრამ ის სხვა საჭიროებებისათვის თანხების საკითხს, იფარება ფაკულტეტის ან/და უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ პროგრამაზე მოწოდებული ფაკულტეტის ბიუჯეტი, ასევე ჩატარებული გასაუბრებები ცხადყოფს, რომ რომ პროგრამის განხორცილებისათვის წარმოდგენილი ბიუჯეტი ფარავს ყველა იმ აქტივობას, რაც აუცილებელია პროგრამის მიზნების დასაფარად და პროგრამის შედეგების მისაწევად,

თუმცა სასურველია, კონკრეტული წარმოდგენილი პროგრამისათვის მოხდეს ცალკე, დამოუკიდებელი ბიუჯეტის გაწერა, რაც კიდევ უფრო დეტალურად და თვალსაჩინოდ წარმოადგენს იმ ხარჯებს, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესში განსაზღვრული ყველა აქტივობის დაფარვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 12 იანვრის #01 დადგენილებით დამტკიცებული,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის/დამტკიცების, შემოსავლების წყაროების განსაზღვრისა და ხარჯვის განაწილების წესი „
- წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული 2022 წლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- დაფინანსების წყაროები
- სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ბიუჯეტი
- რექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფი შექმნისა და დავალებების გაცემის შესახებ

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამისათვის გაიწეროს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდში კოორდინირებას უწევს ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომლის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენ ლებთან ერთად აქტიურ კოორდინაციაშია პროგრამ ის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

მნიშვნელოვანია თვითშეფასების პროცესი, რაც ეფუძნება კლასტერში შემავალი პროგრამების სტუდენტების, კურსდამთავრებულების კვლევებს (ფოკუს-ჯგუფის ანგარიშები, სადაც

რელევანტურია), დამსაქმებლების უკუკავშირი და გარე შეფასება წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაში.

ხარისხის სამსახური სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების გზით აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების მომზადებაში, სტანდარტებთან მიმართებით ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში, გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში.

ზემოთ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებს.

უსდში კარგად არის დაგეგმილი განსახორციელებული პროცედურები, რის საფუძველზეც წარმოებს მიმდინარე პროცესების შეფასება. შეფასების შედეგებზე დაფუძნებით კი შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება პრინციპის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" საფუძველზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებში მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მნიშვნელოვანი უკუკავშირის მიღებას, არამედ პროგრამის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობის გაზიარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტით და ინტერვიუებში გაჟღერებული ინფორმაციით.

გასაუბრებებით ასევე იკვეთება, რომ უსდში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, მათი კმაყოფილების კვლევა სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო სეერვისის მოხმარებასა და სხვ. პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება.

გამოკითხვის პროცესში ფაკულტეტი იყენებს, როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებულ, ისე დამატებით კითხვარებს, რაც უკავშირდება დარგის სპეციფიკას.

ინტერვიერების თქმით, კვლევებში იყენებენ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვებს: სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვებს, კითხვარების ანალიზს.

ამასთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის თქმით, ინერგება კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც ხელისშემწყობი ფაქტორი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასების პროცესში..

გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ აქტიური დატვირთვა აქვს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას. წლიური ანგარიშის ფორმას, რომელსაც პერსონალი ავსებს სასწავლო წლის მიხედვით, აერთიანებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, როგორც სამეცნიერო, ასევე შემოქმედებითი მიმართულებებით.

შემდეგ მიმდინარეობს მიღებული მონაცემების დამუშავება ფაკულტეტის საბჭოსა და ხარისხის სამსახურის მიერ, რის შემდეგაც მიეწოდება პერსონალს წინადადებები გასაუმჯობესებელი მხარეების მიხედვით. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალურად იგეგმება სხვადასხვა ტიპის აქტივობები-მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი პერსონალის მიერ სამეცნიერო და პრაქტიკული ჩასატრებელი საათები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივ რეჟიმში კონსულტაციებს უწევს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალს, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პროგრამის სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე უსდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა „ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტი", რომლის საფუძველზე გადამუშავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო კურსები, სწავლების პროცესის ეფექტიანად მართვის მეთოდოლოგია.

ამ პროცესში სისტემატურად მიმდინარეობს სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მისი შეფასების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამაში ჩართული პერსონალის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი აქტიურობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგემილ სხვადასხვა ტიპის ისეთ შეხვედრებში, როგორიცაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის გამართულობა, პროგრამის შემუშავება, სილაბუსების მომზადება, უკუკავშირების შედეგად მუდმივ რეჟიმში უწყვეტად მიმდინარეობს ცალკეული კურსების მოდიფიცირება, სხვადასხვა ფორმატის საკონსულტაციო თუ სატრენინგო შეხვედრებში მონაწილეობა.

ახალი რეგულაციების გაცნობისა ან შიდა რეულაციების შექმნა-განახლების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია შეფასების ინსტრუმენტებსა და რეგულაციებზე მიღებული ინფორმაციის ასახვა პროგრამაში.

ამდენად, შიდა ხარისხის მექანიზმი დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შემდგარ ციკლს გულისხმობს, რომლის მიზანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა აქტიურად მიმდინარეობს თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ, ასევე ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, მუშავდება ღირებული რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.და საბოლოოდ მტკიცდება უსდს აკადემიურ საბჭოზე.

ინტერვიუებში აღინიშნა, რომ პერსონალის შეფასების შედეგები გაითვალისწინება პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები .

თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წინააკრედიტაციიდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდა პროგრამის სტრუქტურის მოდიფიცირება,

ნათლად ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიმართულებები სტუდენტზეა ორიენტი·რებული და ემსახურება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუჯობესებას.

უსდში უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხი; სწავლებისა და კვლევების ინტერნა•ციონა•ლიზაცია; პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და სწორი რეაგირება.

თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წინასააკრედიტაციო პერიოდში კოორდინირებულად და აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა: გადაიხედა სასწავ ლო კურსის სწავლის შედეგებსა და მიღწევის აქტივობებს შორის კა შირი, შეფასების კრიტე•რიუმებში მოხდა ცალკეული ხარვეზების გასწორება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, შეიმუშავებს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, უზრუნველყოფს შეფასებას და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე იძლევა რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა/დამსაქმებელთა/კურსდამთავრებულთა/პერსონალის და შრომის ბაზრის კვლევის გამოკითხვის ფორმები.
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 14 აპრილის № დადგენილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებების ანალიზით მკაფიოდ ჩანს, რომ წარმოდგენილი ,,ინგლისური ფილოლოგიის " საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისას ხარისხის

გარე უზრუნველყოფის მიზნით, გაზიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარე შეფასების შედეგები (აკრედიტაცია, მონიტორინგი, ავტორიზაცია); გაზიარებულია ყველა ტიპის ინფორმაცია უსდ-ში გარე შეფასების ჩატარებისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებასთან მიმართებით.

წარმოდგენილი პროგრამის მოდიფიცირებისას გამოყენებულია გარე შეფასებებიც, კერძოდ, გათვალისწინებულია პროგრამის აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის დროს მიღებული ექსპერტთა რეკომენდაციები,, ასევე გათვალისწინებულია მოწვეული გარე შემფასებლის რეკომენდაციებიც.

პროგრამას ყავს გარე შემფასებელი საქართველოს ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან მ. ა , მის მიერ პროგრამა შეფასებულია დადებითად. რჩევები გათვალისწინებულია - პროგრამის მოდიფიცირებისას.

კერძოდ ენათმეცნიერების სილაბუსში დაკონკრეტებულია რეფერატის და პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა. ასევე გარე შემფასებლის შეფასებით, სასურველია პროგრამის განხორციელებისას მოწვეული იყვნენ პროგრამაზე უცხოელი ლექტორები, რაც შესრულებულია და პროგრამაში მოწვეულია ორი უცხოენოვანი ლექტორი.

დამსაქმებლებთან ინტერვიუებში გამოიკვეეთა, რომ ისინი დადებითად აფასებენ პროგრამის კურსდამთავრებულებს და აღნიშნავენ, რომ იცნობენ პროგრამას და მათი რეკომენდაცია პროგრამის კურიკულუმში პრაქტიკის კომპონენტის დამატებასთან დაკავშირებით გაზიარებულია - მოდერნიზებულ პროგრამაში ცალკე კურსად უკვე არის პრაქტიკის კომპონენტი.

დამსაქმებლების თქმით, მათი საჭიროებების შესაბამისად, ისინი თავიანთ მოთხოვნებს და მოსაზრებებს უზიარებდნენ პროგრამის მესვეურებს, მაგალითად, ტურიზმის სექტორში დასაქმებისათვის მათი შეფასებით, სასურველია კურსდამთავრებულმა იცოდეს რუსული ენა, შესაბამისად, მათი ეს მოთხოვნა გაზირებული და გათვალისწინებულია პროგრამის შემქნელების მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი საგანამანათებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით დამსაქმებლების აზრის კვლევა დაიგეგმა და განხორციელდა ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის სამუშაო ჯგუფების მიერ. გათვალისწინებულია შრომითი ბაზრის მოთხოვნები, შეგროვებულია თვისებრივი მონაცემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
- გარე შემფასებლის დასკვნა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- გამოკითხვების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის გარე შეფასების მიზნით იყოს უცხოელი ექსოერტის შეფასების დასკვნაც.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგიურ, მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაჟღერებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის უწყვეტი შეფასების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს სტუდენტების სასწავლო კურსების შეფასების უწყისების, სტუდენტთა პირადი საქმეებისა და სხვა დოკუმენტების დამუშავებისას მიღებულ ინფორმაციას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის შესაბამისობის დადგენას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოსა და შესაბამისი დარგის სტანდარტთან უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება.

სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობა სემესტრული, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების, სამიზნე ნიშნულების ანალიზით მიღებული მიგნებების შესაბამისად, გარკვეული ცვლილებების დაგეგმვა/შემუშავებას საჭიროებს, რაც მუდმივი და უწყვეტი პროცესია.

ამ პროცესში ცვლილებების მომზადების შესაბამისი პაკეტი პროცედურულად გადაეცემა აკადემიური საბჭოს. საბჭოზე განხილვის შემდეგ შემუშავებული რეკომენდაციები განსახორციელებლად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა და მუდმივი განახლება ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში და წარმოდგენილ პროგრამაზე უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის ზრუნველყოფის მექანიზმები; o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მასალები,შედეგების ანალიზი, რეკომენდაციები.
- გამოკითხვის ჩატარების წესი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი - http://www.zssu.ge/zssu2/

რეკომენდაციები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☐	x	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის	☐	x	☐	☐

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მარიამ ბანძელაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ირმა ქურდაძე

ლიანა ზაგაშვილი



სოფიო თოთბაძე